ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N172/8

ქ. თბილისი "12" 06 2012 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში "შემსყიდველი", მინისტრის პირველი მოადგილის ირაკლი გიორგობიანის სახით, და მეორე მხრივ, სს ,,აი თი დი სი" მისი დირექტორის მამუკა მონავარდისაშვილის სახით, შემდგომში "მიმწოდებელი".

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა (CPV 64220000), საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის N897 განკარგულების შესაბამისად, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2012 წლის ასიგნებების ფარგლებში, ვიდეო სტრიმინგის მომსახურების შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურება 3943 (სამი ათას ცხრაას ორმოცდასამი) ლარად (შემდგომში "ხელშეკრულების ფასი").

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. სამედიცინო კონფერენციის ,,მედეა 2012" მსვლელობის დროს ვიდეო სტრიმინგის მომსახურების გაწევა, რისთვისაც ,,მიმწოდებელმა" უნდა უზრუნველყოს:

- სათანადო ტექნოლოგიის ჩაშენება სამინისტროს ვებ გვერდზე, რეალურ დროში საჩვენებლად;
- ვიდეო გადაღება მინიმუმ ერთი კამერით მასშტაბებისა და რაკურსების შეცვლის შესაძლებლობით;
- სათანადო მოცულობის ინტერნეტ ტრაფიკის გამოყოფა კონფერენციის მიმდინარეობის ადგილის რესურსებიდან;
- სარეზერვო ინტერნეტ ტრაფიკით უზრუნველყოფა უკაბელო ინტერნეტ კავშირის ტექნოლოგიით;

4. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი:

4.1.. მომსახურების გაწევა განხორციელდება 2012 წლის 14 და 15 ივნისს.

14 ივნისს - 12-18 სთმდე.

15 ივნისს - 10-15 სთამდე.

4.2 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. ბათუმი, სასტუმრო ,,რედისონი".

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება, წინამდებარე ხელშეკრულების 13.1 პუნქტით განსაზღვრული, ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორების მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი #1) სამ ეგზემპლარად.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2 ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა (დანართი #1) და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, წამოდგენიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.2. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.3. უზრუნველყოს მომსახურებისათვის საჭირო ყველა აპარატურული, საკომუნიკაციო და ადამიანური რესურსი;

7.1.4. უზრუნველყოს სრული ვიდეო ჩანაწერის შექმნა და შემსყიდველისათვის მიწოდება.

7.2. "შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. დროულად განიხილოს "მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი წინადადებები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.2.2. უზრუნველყოს "მიმწოდებლის" დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8. მხარეთა უფლებები

8.1. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.2. "შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.2. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წინასწარ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე

მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.3. სადაო საკითხების გადაწყვეტა
10.3.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით.
10.3.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულებისთვის მიმწოდებლს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო, შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
12.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლო ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. ინსპექტირების პირობები
13.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორი: სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროგრამული უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ირაკლი ელიაშვილი.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.
14.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2012 წლის 1 აგვისტომდე.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა
15.1 ხელშეკრულება წყდება ხელშეკრულების ვადის გასვლით, ხელშეკრულების პირობების შესრულებით ან მხარეთა შეთანხმებით.
15.2 ხელშეკრულება შეიძლება ცალმხრივად შეწყდეს ასევე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში.

16. დასკვნითი პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (-- გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

16.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება "მიმწოდებელთან", ორი _ "შემსყიდველთან".

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, საიდენტიფიკაციო კოდი 211333957 ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი N144 ------------------------------ ირაკლი გიორგობიანი მინისტრის პირველი მოადგილე	სს ,,აი თი დი სი" მის: ქ. თბილისი, რუსთაველის N14 საიდენტიფიკაციო კოდი 404399664 ს.ს. ,,თი–ბი–სი ბანკი" მთაწმინდის ფილიალი კოდი: 220101821 ა/ა GE19TB7483936080T00001 ------------------------------ მამუკა მონავარდისშვილი დირექტორი

დანართი 1

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროს აპარატის ხარჯებისათვის
გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში გაწეული მომსახურების
მიღება _ ჩაბარების

ა ქ ტ ი

ქ. თბილისი ___ _____ 2012 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, შემსყიდველი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ბატონი ----------
და, მეორე მხრივ, მომწოდებელი ----------
(ორგანიზაციის დასახელება)

(ხელმძღვანელის თანამდებობა; სახელი, გვარი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ ----------

2012 წლის --------- ---------- N --------- ხელშეკრულების პირობით

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს ----------
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

---------- თვეში გაწეული მომსახურების ღირებულებამ
(თვის დასახელება)

შეადგინა ----------
(თანხა – ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით შესრულებულია ----------
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

საქონლის ღირებულება, ანაზღაურებულია ----------
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მიიღო	ჩააბარა
1. ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი	1. ხელმძღვანელი
2. პასუხისმგებელი შემსრულებელი	2. მთავარი ბუღალტერი
ბ. ა.	ბ. ა.